

საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №41, 30.12.2008წ., მუხ. 298) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 2¹ პუნქტი:

„2¹. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში განცხადებას, სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად, უნდა ერთვოდეს საბანკო დაწესებულებაში უძრავი ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი